დანართი N 14

დიდთოვლობა

გურიის რეგიონში, განსაკუთრებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, 18:00 საათისთვის დაიწყო ინტენსიური თოვა. ძლიერმა ნალექმა სწრაფად დაფარა მუნიციპალიტეტის ცენტრალური და სასოფლო გზები. დაახლოებით 23:00 საათისთვის თოვლის საფარმა 20-25 სანტიმეტრს მიაღწია, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა მსუბუქი ავტომობილების გადაადგილებას, კერძოდ, შეზღუდულია საავტომობილო მოგზაურობა ჩოხატაური - დაბლაციხე -ბუკისციხის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ასევე შეზღუდულია მოძრაობა ბუკისციხე-შუა სურები - ზემო სურების საავტომობილო გზის მონაკვეთზე. ჩოხატაური-ბახმაროს გზის მონაკვეთზე დაშვებულია მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანების მოძრაობა. მოსახლეობამ დაიწყო შეტყობინებების გაგზავნა 112-ზე, სადაც იუწყებოდნენ გზების ჩახერგვისა და გადაადგილების შეუძლებლობის შესახებ.

სტიქიური მოვლენების განვითარების ფონზე, მობილიზებული იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტერიტორიული ქვედანაყოფები და პოლიციის ქვედანაყოფები, რომლებიც დაუყოვნებლივ ჩაერთვნენ თოვლში ჩარჩენილი ავტომობილების ამოყვანასა და მოსახლეობის დახმარებაში.

შექმნილი ვითარების გამო, შეიკრიბა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის შტაბი, სადაც ყველა შესაბამისმა სამსახურმა მიიღო დავალებები. მყისიერი რეაგირების მიზნით, ამოქმედდა მუნიციპალური ცხელი ხაზი მოსახლეობის საჭიროებების გასაკონტროლებლად და ოპერატიული დახმარებისთვის. მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა მძიმე ტექნიკის მეშვეობით დაიწყეს გზების გაწმენდა.

ინტენსიური თოვა რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდა, რამაც მუნიციპალიტეტში კრიტიკული ვითარება შექმნა. ზოგიერთ სოფელში თოვლის საფარმა 2 მეტრსა და 20 სანტიმეტრს გადააჭარბა, ხოლო დაბა ჩოხატაურში თოვლის სიმაღლემ 1 მეტრს მიაღწია. მიუწვდომელი გახდა მაღალმთიანი სოფლები.

გარე სამყაროსგან მოწყვეტილია მუნიციპალიტეტის დასახლებების დაახლოებით 50 %.

სახანძრო-სამაშველო ძალები, შესაბამის უწყებებთან ერთად, ახდენდნენ სტიქიის ზონიდან ევაკუირებული პირების აღრიცხვას და თოვლში ჩარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირებას. მაღალმთიან სოფლებში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო, განხორციელდა მოსახლეობის ევაკუაცია, რომლებსაც დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლები.

დიდთოვლობის შედეგად:

- შეწყდა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში;
- თოვლის სიმძიმის შედეგად ჩამოინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და კომერციული ობიექტის სახურავები;
- გადაიკეტა ცენტრალური და შიდა სასოფლო გზები, რამაც ხელი შეუშალა საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების დროულად მიწოდებას.

საგანგებო მართვის შტაბი, კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჰუმანიტარული დახმარებას, რომელიც მოიცავს მოსახლეობისთვის საკვებისა და პირველადი საჭიროების პროდუქტების მიწოდებას, ასევე გზების გაწმენდას მძიმე ტექნიკის გამოყენებით.

მეხანძრე-მაშველების მიერ ხორციელდება ავადმყოფების გადმოყვანა სასწრაფო დახმარების მანქანებამდე ან პირდაპირ სამკურნალო დაწესებულებამდე.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (დიდთოვლობა) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

პრევენცია

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება/შერბილება და გულისხმობს მუნიციპალური ორგანოების, ორგანიზაციების და მოსახლეობის მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და გარემოს დაცვას.
საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა;
დ) დიდთოვლობის მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
ე) დეტალური ღონისძიებები იხილეთ ქვემოთ ცხრილში.

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელება ზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია	ღონისძიების განხორცი-ელებაში დამხმარე ორგანიზაცია	განხორცი-ელების ვადები	შენიშვნა
1	გზებისა და ხიდების შემოწმება – პრობლემური მონაკვეთების იდენტიფიკაცია და წინასწარი გამაგრება.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ ის მერია. საავტომობილო გზების დეპარტამენტი	ა(ა)იპ ,,სერვის ჯგუფი''	წლის განმავლობა ში	საჭიროების შემთხვევაში მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე
2	თოვლის გამწმენდი ტექნიკის მზადყოფნა – მძიმე ტექნიკის,	ჩოხატაურის მუნიციპალი-ტეტის მერია.	ა(ა)იპ ,,სერვის ჯგუფი''	წლის განმავლობა ში	საჭიროების შემთხვევაში მომსახურების

	ბულდოზერები, ტრაქტორები, დამხმარე მანქანები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი			შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე
3	მარილისა და ქვიშის მარაგის შექმნა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია.	შპს ,,სერვის ჯგუფი''	სექტემბერი - ოქტომბერი	ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე
4	სადაზღვევო პაკეტების შეთავაზება/მომზადება	სადაზღვევო კომპანიები	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		მერია უზრუნველყოფს რისკის არეალში მცხოვრები მოსახლეობისათის სადაზღვევო კომპანიებთან შუამდგომლობას და სადაზღვევო პაკეტების შეთავაზებას.
5	მოსახლეობის რეგისტრაცია,მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება - მონაცემების განახლება.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია.	მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში. სოციალური მომსახურების სააგენტო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	წლის განმავლობაში ორჯერ	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
1	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (შშმ პირებზე მზრუნველი) გადამზადება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

3	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	(შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
4	შშმ პირების მონაცემების განახლება.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	წითელი ჯვარი მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური სოციალური მომსახურების სააგენტო	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (დიდთოვლობა) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

მზადყოფნა:

მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ დიდთოვლობის დროს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზება უნდა გაუკეთდეს თემატურ მეცადინეობებს, ვიქტორინებს და კონფერენციებს დიდთოვლობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე. მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს როგორ მოიქცეს დიდთოვლობის დროს შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე ორგანიზაცია	განხორციელების ვადები	შენიშვნა

1	საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის, პროფესიული სასწავლებელის სტუდენტებისათის და საფრთხის შემცველ ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგები /სწავლების ორგანიზება, დიდთოვლობის და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი.	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	საევაკუაციო წვრთენის ჩატარება სტიქიის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის.	ჩოხატაურის მერია	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი. შსს ჩოხატაურის რაიონული სამმართველო საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდუდებელი დახმარების ცენტრი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
3	მოხალისეთა ჯგუფების შექმნა	ჩოხატაურის მერია შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
4	რისკის შემცველ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გარემოს ეროვნული სააგენტო	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
5	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინიმუმ 5 სასტუმროსთან მოლაპარაკებას, საგანგებო	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		კალენდარული წლის სექტემბერი-ნოემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	

	სიტუაციების დროს ევაკუირებულ მოქალაქეთა განთავსებისათვის და ფასთა კვლევას მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებისათვის.				
6	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფენ - პირველადი მოხმარების საგნების შეძენისა და მზადყოფნისათვის მოთხოვნის შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშგების შედგენას (პრიორიტეტულია საძილე ტომრები, მედიკამენტები)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	წითელი ჯვარი	კალენდარული წლის ივნისი-სექტემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	
7	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის ევაკუაციისათვის საჭირო ტრანსპორტის მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო ან/და საჯარო პირებთან მოლაპარაკებების გზით, საამისოდ საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	ტენდერით გამარჯვებული კომპანიები	კალენდარული წლის ივნისი-სექტემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	
8	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებული მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო მარაგების მოძიებას, მუნიციპალიტეტში არსებულ საკვების მიმწოდებელ დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკების გზით, საამისოდ	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	წითელი ჯვარი	კალენდარული წლის სექტემბერი-ნოემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	კალენდარული წლის ივნისი-სექტემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)

	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.				
	დიდთოვლობისას მოქმედების წესების გავრცელება საინფორმაციო კამპანიები წარმოება – ფლაერების, ბროშურების, სოციალური მედიისა და მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდის მეშვეობით. (როგორ მოემზადოს მოსახლეობა, რა მარაგი შეინახოს, როგორ მოიქცეს საგანგებო სიტუაციისას)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია ადმინისტრაციული სამსახური	წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მათთან მომუშავე პირებისთვის (განსაკუღებით სტიქიის ზონაში მცხოვრები) სათანადო სწავლების ჩატარება რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება.	ჩოხატაური მუნიციპალიტეტის მერია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	მოხალისეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც დაეხმარებიან შშმ პირებს საგანგებო სიტუაციების დროს.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
3	წინასწარ განისაზღვროს საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დახმარების საშუალებები და სპეციალური მოწყობილობები შშმ პირებისთვის, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო	წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

რეაგირება

არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

ა) განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

ბ) საველე ოპერაციების ცენტრის გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;

ე) ოპერაციების კოორდინირება;

ვ) ლოგისტიკური უზრუნველყოფა;

ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;

თ) ინფორმაციის მართვა;

ი) მოთხოვნების დამუშავება ეროვნული დახმარების შესახებ;

კ) რესურსების მიღება და მართვა;

ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

მ) ფინანსების მართვა;

ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ამოქმედება (GIS);

ო) საგანგებო სიტუაციების დროს არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენების ორგანიზება.

დაუყოვნებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციის ზონაში მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით იხსნება ევაკუირებულთა შემკრები, საშუალედო, მიმღები პუნქტები. შესაბამისად, ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველის საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, (საჭიროების შემთხვევაში ქიმიური და რადიაციული), სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (დიდთოვლობა) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი/ორგანიზაცია	ღონისძიების განხორცი-ელებაში დამხმარე ორგანიზაცია	განხორციელების ვადები (დრო მითითებულია პირობითად)	შენიშვნა
1	საგანგებო მართვის შტაბის წევრების შეკრება	შტაბის უფროსი	მერიის ადმინისტრაცია	,,სთ''+30 წთ	
2	საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვითარების შეფასება	საგანგებო შტაბი		,,სთ''+5 წთ	
	ვითარებიდან გამომდინარე საგანგებო სიტუაციის ზონაში დამატებით სახანძრო-სამაშველო ჯგუფების გაგზავნა.	საგანგებო შტაბი		,,სთ''+10 წთ	
3	სამაშველო (და საჭიროების შემთხვევაში) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	საგანგებო შტაბი		,,სთ''+15 წთ	
4	საევაკუაციო ქმედებებში ჩართული მორეაგირე ძალების მოსახლეობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა	საგანგებო შტაბი		,,სთ''+20 წთ	
5	მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის განვითარების ადგილიდან, აღრიცხვა და საჭიროებების განსაზღვრა.	საგანგებო შტაბი		,,სთ''+30 წთ	
6	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში, შესაბამისი დაცვის ორგანიზება	საგანგებო შტაბი	განათლების, კულტურისა და სპორტის (მუზეუმი-ბიბლიოთეკა)	,,სთ''+40 წთ	
7	მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის დაზუსტება და შესაბამისი ზომების მიღება	საგანგებო შტაბი		,,სთ''+1სთ	

8	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირების მიზნით გადაწყვეტილებების მიღება და განკარგულების გაცემა.	შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო		,,სთ''+1სთ და 30 წთ	
9	საგანგებო სიტუაციების ზონიდან განახლებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო ვითარების შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა.	საგანგებო შტაბი		,,სთ''+2სთ	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭიროებების განსაზღვრა და სათანადო დახმარების აღმოჩენა.	საგანგებო შტაბი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო		,,სთ''+5 წთ	

შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის ორგანიზება

საგანგებო შტაბის წევრებს და მათ დაქვემდებარებულ პირებს ან/და საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციაში ჩართულ სახვა პირებს შორის კავშირი ხორციელდება სატელეფო საშუალებებით. საქალაქო ან მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი ხორციელდება სპეციალური რაციებით.

აღდგენა

საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (დიდთოვლობა) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:

როდესაც თოვლის საფარი დაიწყებს დნობას და ადგილზე მუშაობა გახდება უსაფრთხო, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახურები იწყებენ აღდგენითი სამუშაოების შესრულებას:

1. მერიის შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ შენობების საცხოვრებლად ვარგისიანობის შეფასებას;
2. ხორციელდება მატერიალური ფასეულობების გამოტანა დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
3. მერიის სპეციალური კომისია ადგენს ზარალის ოდენობას;

4. მერიის შესაბამისი სამსახურები ა(ა)იპ ,,ჩოხატაურის სერვის ჯგუფი'' და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სტიქიის ადგილზე ხორციელდება გაწმენდითი სამუშაოები, თოვლით ჩახერგილი ადგილების გაწმენდა.

5. გაწმენდით სამუშაოებთან ერთად იწყება დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა-შემოწმება.